რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიფეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან. ცალკე ნომერი — ერთი შაური.

დროება

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე — 1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე — 8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ. — 5 კაპ. და პეტიტით — 4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

დაუბეჭდელი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

საქართველო

ერთი საზოგადო შენიშვნა

ერთმა სამზღვარ-გარეთიდამ ახლად დაბრუნებულმა პირმა გვითხრა, რომ რაკი ოდესსას გამოვსცილდი, კაცი არ შემხვედრია, რომ ანდრეევსკის ქალის მოკვლაზე არ ელაპარაკოთო; ნაცნობი და უცნობი ყველა ერთმანეთს ჰკითხავდნენ, ჰსჯიდნენ და თავიანთ მოსაზრებას უცხადებდნენ ერთმანეთს: თუ როგორ მოხდაო ეს საქმე, ვის უნდა დაბრალდეს, ვის რა სარგებლობა მიეცემოდა ამ საბრალო ქალის მოკვლითო, რა მდგომარეობაშია გამოძიება, როგორ შეიძლება ნამდვილ მკვლელების აღმოჩენა და სხ.

მე თითქმის ათი წელიწადია, რაც მე თფილისში ვცხოვრობ, და არცერთი შემთხვევა არ მახსოვს, რომ ისეთი შთაბეჭდილება მოეხდინოს საზოგადოებაზე, ისე აელევის დიდი და პატარა, მაღალისა და მდაბალ წოდების პირნი, როგორც ამ ქალის მოკვლამ აალელვა და აალაპარაკა.

ზოგიერთებს უკვირსთ ეს საზოგადო აღშფოთება; ამბობენ:

— განა ცოტა ხდება ჩვენში ამგვარი და კიდევ უარესი მკვლელობა და ბოროტება? ერთი ახალგაზდა ქალი მოჰკლეს! მერე რა უყოთ? რაღა მარტო ამაზე აყაყანდა საზოგადოება?

მართალია, რომ ჩვენში ყოველ წელიწადს მომეტებული თუ არა ათობით მაინცა ხდება ამგვარი კაცის-კვლა და ბოროტ-მოქმედება; მართალია, უბრალო კაცის-კვლაზე ბევრი უმძიმესი საგნებიც მოიპოება ჩვენს ცხოვრებაში, რომელსაც საზოგადოება იმის მეათედ ყურადღებასაც არ აღირსებს ხოლმე, რაც აღირსა ანდრეევსკის ქალის საქმეს.

მაშ აქ, ამ საზოგადო აღშფოთებას, უეჭველია, ერთი რამ სხვა მიზეზი და საფუძველი უნდა ჰქონდეს.

ესეთ საფუძვლად და მიზეზად ჩვენ მიგვაჩნია ის, რომ ეს მკვლელობა მოულოდნელ და ძნელად წარმოსადგენ გარემოებებით არის შემკული. აგიხსნით:

როცა სადმე, ვსთქვათ ქალაქში, ვისმეს გაქურდვენ და გასცარცვავენ ან შარა გზაზე კაცს მოჰკლენ, — ეს მაინცა-და-მაინც შესამჩნეველად არავის არ აკვირვებს. და არ აკვირვებს იმიტომ, რომ ყველამ იცის, რომ ამ ცოდვილ დედა-მიწაზე ისეთი ბედნიერი და ანგელოზური ცხოვრება არ დამყარებულა ჯერ, რომ ყველა იყვეს კმაყოფილი, ბედნიერი, კეთილი და უნაკლულო; ყველამ იცის, რომ არიან ისეთი ახირებული სულდგმულები, რომელნიც კმაყოფილ და შეძლებულ საზოგადოების ნაწილს მშვიდობიან და შეუშფოთებელ ცხოვრებას უშფოთებენ. რომელმამე ყაჩაღად გავარდნილ ოსმა ან თათარმა რომ მიყრუებულ გზაზედ სომეხი ვაჭარი გასცარცვოს და კიდეც მოჰკლას, — ეს ჩვენ არ გვაკვირვებს, ამგვარი მოვლენა ისე ჩვეულებრივია, ისე ხშირია, რომ შევეჩვიეენით.

მაგრამ აქ კი სულ სხვაა. საფუძვლიანად თუ არა — ამას არ ვამბობთ, მაგრამ ბრალდებულად და ბოროტ მომქმედებად საზოგადოებას აქ სულ სხვა გვარი, სხვა წოდებისა და სხვა ხასიათის პირები მიაჩნია. ისეთ ნაირ კაცებს სთვლის ამ ქალის მკვლელობაში დამნაშავედ, რომელნიც ამგვარ საქმეში არასოდეს არ ყოფილან შემჩნეულნი, არა თუ ჩვენში, არც სხვაგან, რომელთაგან ამისთანა საქმის ჩადენას არასოდეს არ მოელოდა, ვერ წარმოიდგენდა.

საზოგადოება დარწმუნებულია, მა- [illegible] ძაგელ საქმეში მაღალ წოდებისა და მაღალ განათლების კაცებს აქვთ მონაწილეობა; კიდევ უარესი: დარწმუნებულია, რომ ამ პირთ ანგარების გამო გაისვარეს ამისთანა მკვლელობაში ხელი.

და აი, აქედამ წარმოსდგება ის საზოგადო აღელვება და შფოთი, რომელიც ამ საქმემ ასტეხა ჩვენში; ეს არის ნამდვილი მიზეზი იმისა, რომ კაცი კაცს ვერ შეხვედრია ისე ქუჩაზე, რომ „გამოძიებამ რა აღმოაჩინაო?“ არ ჰკითხოს. ყველას უნდა შეიტყოს: მართლდება იმათი ეჭვი და ხან რწმუნდება, თუ არა?

კიდევ ვიმეორებთ, რომ არ ვიცით — რამდენად საფუძვლიანია ან უსაფუძვლოა ეს საზოგადოების ეჭვი და რწმუნება; ხშირად მომხდარა ხოლმე, რომ ამგვარს საქმეში, შემთხვევით, ყველა გარემოება ისეთ ნაირად მოგროვილა, რომ სასამართლოცა და საზოგადოებაც დარწმუნებული ყოფილა, რომ დამნაშავე უეჭველად ესა და ეს პირი უნდა იყოსო; გაუმტყუვნებიათ კიდეცა; და მხოლოდ შემდეგ, რამდენიმე წლის შემდეგ, აღმოჩენილა, რომ ნამდვილი დამნაშავეები სულ სხვანი ყოფილან და ისინი კი სულ ტყუილ-უბრალოთ გაურევიათ ამ საქმეში.

ღმერთმა ინებოს, რომ ამ შემთხვევაშიაც ისე მომხდარიყოს.

თუმცა ერთისა და ორი განათლებული კაცის ბოროტება არც განათლებისა და არც ახალგაზდობის პატიოსან სახელს გასვრის და ლაქს არ მოსცხებს, მაგრამ მაინც ჩვენ ყველაზე პირველად და უფრო მომეტებულადაც გავიხარებთ, თუ ის პირნი, რომელთაც დღეს ამ საქმეში მონაწილეობის მიღებას აბრალებენ, გაიწმენდენ თავს, თუ მათი სახელი გაუჭუჭყიანებელი და თვით ისინი უმანკო აღმოჩნდებიან.

ს. მ.

დღიური

ჩვენ მოგვივიდა ქუთაისიდამ ამბავი, რომ აქ ამბობენო, რომ სვანეთში გაგზავნილი ჯარი ჯერ კიდევ ვერ მისულა იმ სოფელში, სადაც უნდა მისულიყო და როგორც ისმის, იქ ზოგიერთ მთებზე კიდეც მოთოვლაო.

***

ამ დღეებში დაიწყო თავის თანამდებობის აღსრულება უფ. პ. ალხაზოვმა, რომელიც ჩვენის ქალაქის გამგეობის წევრადა და ქალაქის ინჟინერად არის არჩეული.

ვინც ჩვენი ქალაქის გარეგანი უ- [illegible] მიხვდება — თუ რა ძნელი და მძიმე მოვალეობა აწევს ამ ახლად არჩეულს პირს. განსაკუთრებით სასურველია, რომ უფ. ქალაქის ინჟინერმა უხეირო სახლების აშენებას და ჩვენი ქუჩების სივიწროეს და სიბინძურეს მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება. ამაზე უფრო საჭირო კიდევ ის არის, რომ ქალაქის წყლებსაც მიექცეს ყურადღება: ჩვენ ვიცით, რომ ადრე, ამ ოცი-ორმოცი წლის წინათ, ქალაქში რამდენსამე ალაგას ყოფილა წყაროები და შადრევნები. ზოგან ახლაც სჩანს იმათი კვალი და მილები. სანამ ჩვენ ქალაქში წყლის გაყვანას მოვესწრობოდეთ, ურიგო არ იქნება, რომ ამ ძველ ნაწყაროებსა და ნაშადრევნებს მაინც მივმართოთ; იქნება, ყველა თუ არა, ზოგიერთი იმათგანის განახლება და ამით უწყლობით ასე შევიწროებული ხალხის შემსუბუქება მოხერხდეს....

***

ქართლიდამ დიდის გახარებით გვწერენ, რომ გორი და იმის უეზდი ისე გაიწმინდა ქურდებისაგანო, რომ ამ უკანასკნელ წლის განმავალობაში თითქმის ქათამიც არავის დაჰკარგვიაო. შარშან კი დღე თუ არა, კვირა მაინც ისე არ გაივლიდაო, რომ ერთი ქურდობა მაინც არ მომხდარიყოო. ამ სასიამოვნო მოვლენას ჩვენი კორრესპონდენტი პოლიციის სიფხიზლესა და კარგ განკარგულებას მიაწერს.

***

ჩვენ მივიღეთ იმერეთიდამ შემდეგი წერილი:

„უფ. ჩიხატაურელის მოთხოვნილებისა გამო „დროების“ მე-№ 85-ში პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ ჩემთვის, როგორც სასწავლებლის წევრისათვის, არ უცნობებია უფ. ზედამხედველს ასათიანს სამოც-და-ათი შაგირდის გამორიცხვის საქმე ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდამ.

„ივნისის თვეში შაგირდებიც იქმნენ დათხოვნილნი და სასწავლებლის სამმართველოში სხდომებიც შესწყდა. ამ დროს, როგორც ამბობენ, ორი მასწავლებლისათვის შაგირდებს გამოუცხადებიათ, თქვენ საგნებს ცუდათ გვასწავლითო; მასწავლებლები უმტკიცებდნენ, თურმე, რომ თქვენ გულის-ყური (ნიჭი) არა გაქვსთო და იმიტომ ვერ სწავლობთო. შაგირდებს ამაზედ მიეგოთ პასუხათ: თუ ეს მართალია, რაღა მარტო თქვენს საგნებში დაგვეკარგა გულისყურიო?

„მასწავლებლებს გული მოსვლოდათ, შეუტანიათ საჩივარი სასწავლებლის ზედამხედველთან: შაგირდები გონებით და ზნეობით დაეცნენო და უთუოთ დათხოვნილი უნდა იქმნენო. უფ. ზედამხედველს მოუსვამს ხელი და სამოც-და-ათი შაგირდი გამოურიცხავსთ ერთბაშათ.

„ეს საქმე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, არც ჩემთვის შეუტყობინებიათ და, როგორც ვგონებ, არც მეორე ჩემი ამხანაგისათვის.

ერთი წევრთაგანი სასულიეროს [illegible] მხრით.

***

დიდი აყალ-მაყალი და უკმაყოფილება იყო გასულ დღეებში თურმე ქუთაისს, სადაც იმერეთის სამღვდელოება იყო შეკრებილი სასულიერო სასწავლებლისა და სხვა საეკკლესიო საქმეებზე მოსალაპარაკებლად. განსაკუთრებით იმ გარემოებას გაუბრაზებია მღვდლები, რომ სასწავლებლის მთავრობას სამოც-და-ათ შაგირდზე მეტი ერთად გამოუყრია ვითომც უნიჭობისა და სხვა მიზეზების გამო. დიდს უკმაყოფილებას აცხადებდნენ თურმე ამ სასწავლებლის ზედამხედველზე, ეკონომზე უფ. ც—ზე და კიდევ ერთს ვილაც მასწავლებელზე, რომელთაც სასწავლებლის დაცემასა და გაფუჭებას აბრალებდნენ.

***

კახეთიდამ გვწერენ, რომ სიღნაღში ახალი მომრიგებელი მოსამართლე მოგვივიდა — თ. ს. წერეთელიო. ჩვენი კორრესპონდენტი ამბობს, რომ ჯერ მადლიერნი რჩებიან ამის საქმეების მმართვისას, და შემდეგში კიდევ უფრო მადლობელნი დარჩება უფრო სოფლის ხალხი, თუ განსაკუთრებით ყურადღებას მიაქცევს და სინიდისით გაასამართლებს მრავალ საქმეებს, რომელიც ვაჭრების ვექსილებისა და უკანონო სარგებლის თაობაზე არის ამტყდარიო.

***

იგივე კორრესპონდენტი გვწერს,

რომ აქ გავარდა ხმაო, რომ ზოგს სოფელში ჩაფრების „ზეკუცია“ მიდისო. „ დედაკაცები შიშისაგან ფეხზე ველარა სდგებიან და აქეთ-იქით დამალვას აპირებენ.“

***

ბუშინ, 26 აგვისტოს, ქალაქში მოელოდნენ სენატორს ძლუშინს.

***

ბაზ. „კავკაზში“ ციზლიარიდამ იწერებიან, რომ აგრონომმა ხოჯაევმა და ზოგიერთ სხვებმა მმართებლობისაგან დანიშნულ პირებმა გამოიკვლიოს და გამოიანგარიშესო, რომ ციზლიარის მემამულეებს წლეანდელი სეტყვისაგან 978,404 მანეთის ზიანი მისცემიათ. ამ კომისიის ჰაზრით, მმართებლობა ცოტას მაინც შეამსუბუქებს ამათ მდგომარეობას 250,000 მანეთს რომ ასესხებდეს იმათაო.

***

ზაქათალის მაზრის გამგებელისაგან მოგვეიდა ცნობა, რომ იმან მიიღო „დროების“ რედაქციისაგან გაგზავნილი ფული, რომელიც ზაქათალის გადამწვარ ხალხისათვის მოვაგროვეთ.

„დროების“ კორრესპონდენცია

ბორჯომის არე-მარე, 15 ივლისს. შავი წყლის ხეობა.—ტიმოთეს უბნის მონასტერი.—ანდრია რუსი.—ბამოჩენილი მხატვარი უ. პრიმაცი. — (დასასრული)

ამ ექვსი წლის წინეთ [illegible] ბოსტანი [illegible] და [illegible]პატრონებია აქაურობას ნასალდათევი ანდრია-რუსი. წარმოიდგინეთ საშუალო ტანი, ჩაცვეულნული თვალები, მისუსტებული, წვეტი ცხვირით, ჭორფლიანი, ცოტა ჩოფურა სახე, დიდი შუბლი-მოხრუნჭული სახითა, ძალზე ჭაღარ შერეული, კარგა დავარცხნილი წვერი და თმა, მუხლამდინ უფრო გრძელი მოთეთრო რუსული შალის ზედ ჩასაცმელი, საზოგადოთ რაღაც მღვთისნიერება სახეში და ლაპარაკში—და თვალ წინ გვექნება მაშინ ტიმოტეს მონასტრის ახლანდელი პატრონის სურათი.

ეს კაცი თავისი ცხოვრებით და შეხედულობით ახირებული რამ არის. როგორც კი მოსულა ანდრია რუსი მონასტერში, მაშინვე შესდგომია მისს გამშვენიერებას. უყიდნია ზოგი თავისი ფულებით, ზოგი კიდევ ნაჩუქარი ფულებით ხატები და საეკლესიო წიგნები სლავიანურ ენაზე; გამოუწმენდია ეკლესია და დაუგია ქვა. შიგ მონასტერში ერთ კუნჭულში გაუკეთებია სადგომი და რომ თფილათ ყოფილიყო და ხანდისხან საჭელი რამ მოეხარშა თავისათვის, ამ სადგომში გაუკეთებია რუსული ფეჩი. ერთი სიტყვით, ანდრია-რუსს შეუტანია მონასტრის არე-მარეში რუსული წესი და ჩვეულება.

ექვსი წლის განმავლობაში ანდრია-რუსს სრულებით მარტო უცხოვრია და კიდევაც ცხოვრებს. ეს ან სულ წიგნს კითხულობს მაღლა ხმით, ან კიდევ დაცოცამს მონასტრის გვერდზე და სწმენდამს იქაურობას, ან კიდევ ელაპარაკება თავის კატას. ამ კაცს თურმე ზამთრობით ძრიელ გულს ართობინებს მოხსენებული კატა. ანდრია-რუსს შეუთქვამს არა სჭამოს ხორცეულობა და ზედ არ მიეკაროს სასმელებს. ერთი სიტყვით, ეს კაცი ამ ჩვენ დროში ისე სცხოვრობს, როგორც უწინდელ დროში ცხოვრობდნენ ბერები.

რადგანაც ანდრია ნასალდათევია და სისტემატიკური სწავლა არ მიუღია, ამისთვის ამის სარწმუნოებით აზრებს ორგიინალური ხასიათი აქვს. „დადგება ისეთი დრო, ამბობს ჩვენი ანდრია, როდესაც ერთი ერთმანეთს გამარჯობას აღარ ვეტყვით და დაუწყებთ ერთიერთმანეთს ცქერას ისე—თითქო მგლები არიან. ეს მთები, რომლებსაც თქვენ ეხლა უცქერით, მაღლა აიწევიან და ნებითა მღვთისათა დაიწყობენ ზეცაში ქანაობას. ჩვენი დრო წაპილწულია. აი ეხლა ამ მონასტრის ახლო-მახლო ქართველები დგანან და, ჩემის აზრით, ისე უნდა უცქიროთ იმათ, როგორც ნამდვილ ჩვენ ძმებს; მაგრამ.“—

უნდა გითხრათ, რომ ანდრია-რუსს, ექვსი წლის განმავლობაში, გაუზეპირებია სამოციქულო და სახარება; შეუდგენია ზოგიერთი მშვენიერი აზრები; მხოლოთ ეს კია, რომ აზრებს დომხალისაებრ ურევს ერთმანერთში, თუ თვითონ გებაასებათ; თუ კიდევ თვითონ თქვენ მიეცით კითხვები, მაშინ გვარიან პასუხებს იძლევა. აი [illegible]

— ანდრიავ, ტიმოთეს-უბნის მცხოვრებნი რათ არიან ღარიბათ?

—მგენი რომ მდიდრათ ყოფილიყვნენ; ეგ ხომ სასწაული იქნებოდა.“ მიპასუხა ანდრიამ და კიდევაც განაგრძელა: საწყლებს მთა-ბარი თვალწინ უდევთ, მაგრამ სარგებლობის ნება კი არა აქვსთ. მიყვარს მე ეგ ხალხი, მაგრამ რა უშველო!

ანდრია-რუსს მოჰგონებია მცირე რუსეთული ჩვეულება და გაუკეთებინებია ისეთი მოხდენილი კუბო, რომ ბევრ მოხუცებულ შეშურდება.

—რათ გინდა, ანდრიავ, კუბო?

— რატომ არ მინდა! მართალია, ტიმოთეს-უბნის მცხოვრებნი ჩემი პატივის მცემელნი არიან და მეც მათთვის, როგორც ქრისტიანებისათვის, გული მეწვის, მაგრამ მაინც საეჭვოა, რომ ჯერეთ ჩემი სიკვდილი დროზე გაიგონ და მერე გვარიანათ დამმარხომ. მე ვფიქრობ, რომ ვინიცობაა მე მოვკვდე, ეგენი, სილარიბის გამოისობით, თავს არ გამოიდებენ და რიგიანათ არ დამასაფლავებენ,—შეიძლება აი ხეობაშიიც გადამაგდონ, ვინ იცის? მე ეგ არ მსურს და აი ამისათვის მე თვითონ მოვიმზადე წინათვე ეს კუბო!“

ბევრი სხვა აზრებიცა სთქვა ჩვენმა ანდრიამ კუბოს თაობაზე, მაგრამ მოყვანილი აზრებიც საკმაოა, რომ მასზე მკითხველმა შეადგინოს ცხადი აზრი.

თუ ანდრია-რუსის მოქმედებამ დაბადა თქვენში ცოტა-ოდენი მაინც ინტერესი და მოგაგონათ ნათლად, თუ რა ძალოვნება აქვს კაზეც რელიგიურ ფიქროვნებას, საზოგადოლტოლეილებას რომელიმე აზრისადმი, მაშინ რაღა კითხვა უნდა, რომ შემდეგ აღწერასაც ინტერესი ექნება თქვენთვის.

აბა ჩვენ თავს ცოტა ძალა დავატანოთ და წარმოვიდგინოთ შემდეგი სურათი: ივნისის ნახევარია, ორიალეთის მთები შებურულა ღრუბლებით და თითქმის ყოველ დღე მოდის წვიმა. ბორჯომის ახლო-მახლო ხეობეებში საშინელი ნიაღვრებია, რომლებსაც თან მოაქვსთ არე-მარე; გზებში საშინელი ტალახი. ბლეხებს უჭირდებათ ურმით სიარული.

ამ დროს ბორჯომიდან მიეჩქარება სამ ცხენიანი პოვოზკით, ტანით პაწაწკინა მოხუცი კაცი; პოვოზკას თელები ტალახში რჩება; შიგ მჯდომს ბრაზები მოზდის, მაგრამ ვერას გახდარა. აი, როგორც იყო, მოხუცი თავის გულის-წადილს მოეწია და ტიმოთეს უბნის მონასტრის კარებზე ჩამოხტა. მას გამოეგება ჩვენი ანდრია-რუსი და გაკვირვებით უცქერის მგზავრს; ფიქრობს: რამ გააბედინა ამ კაცს ამ საძაგელ ამინდში აქ მოსულა? მოხუცმა თავის გარემოება უთხრა ანდრიას და სთხოვა სადგომი ადგილი. ანდრია გახარებულია, რომ ადამიანს ხედავს და მიჰყავს მოხუცი თავის სადგომში, რომელიც, როგორც ზემოთ ავწერე, არის გაკეთებული მონასტრის ერთ კუნჭულში.

[illegible] ბრდება ანდრიას. მოხუცს შინიდამ არ წამოუღია სასმელ-საჭმელი თვინიერ ერთი ბოთლი ღვინის მეტი; არც სათბილებელი წამოუღია და აი ორი კაცი ერთ მივარდნილ ადგილას არიან; იმათ-მეტი ხორციელი ადამიანი არა ვინ არის იქ, პოვოზკის პატრონიც ხომ უკან დაბრუნდა. მოხუცს, ფირფიტა კაცს ვახშამს უკეთებს ჩვენი ანდრია; მაგრამ რას უკეთებს. ქალმახის სუპს, წვენს თვითონ მოხუცის დარიგებით და სირსლათ ლობიოს. ამის მეტი არა აქვთ-რა; ვახშამს სჭამენ ერთათ და ერთიერთმანეთს შესცქერიან; ამათ ორივეს შესცქერის კატა, რომელიც ხშირ-ხშირათ იქნევს კუდს, რომ-რა არი, ამასაც გადმოუგდონ რამე. ანდრია უგდებს ლუკმას თავის კატას და უამბებს თავის სტუმარს, თუ ეს კატა რა საქმეს უშვრება და გულს ართობინებს მასს უდაბურ ტყეში.

ვახშამ შემდეგ მოხუცი ძილს აპირებს, მაგრამ როგორ მოახერხოს არ იცის; ხეირიანი საწოლი არსად არის, არც საგებ — სახურავია, სიცივე კი ძალიან არის. ჩვენ ანდრიას რაც კი რამ აქვს, აძლევს მოხუცს და როგორც არის აძინებს; თითონაც კუნჭულში წვება.

აი გათენდა; ხუთი საათია. მოხუცს ისევ სძინავს; ანდრია ფეხზეა და ემზადება სალოცავათ. აი დაიწყო ლოცვა და ენერგიულათ ჰკითხულობს სლავიანურ ენაზე საეკლესიო წიგნს; მონასტერი სასიამოვნოთ ხმას აძლევს. მოხუცს ელვა-ძება, ფიქრობს: რა ქნა, ითქო აქ არავინ იყო; ეს ხალხი საიდამ შეიკრიფა; ნელ-ნელობით დგება და უნდა გაშინჯოს, თუ ვინ არიან და საიდამ მოსულან. აი ადგა; მივიდა კარებთან; მაგრამ რას ხედამს: დგას მარტოთ-მარტო ანდრია ტრაპეზის წინ და კითხულობს საეკლესიო წიგნს და ამას დასკუპული შესცქერის თავის კატა! რასაკვირველია, ეს ამბავი მოხუცს აკვირვებს და საათნახევარ შემდეგ თვითონაც ავლებს ხელს თავის საქმეს, ე. ი. გამოდის გარეთ, ჯდება მაღლობზე და შესცქერის მონასტრის კედლებს; კარგა ათვარიელებს და ისე ხატამს.

მგონი ეს სურათიც საკმაოთ გიხატამს იმას, თუ რა მდგომარეობა უნდა გამოეცადნა, თუ რა მგდომარეობაში იყო პატარა ტანის მოხუცი მგზავრი ტიმოთეს უბნის მონასტერში; მხოლოთ ეხლა შენ გინდა გაიგო, თუ ვინ იყო ეს მოხუცი, ანუ მგზავრი.

ეს იყო პროფესორი მხატვრობის აკადემიისა უ. პრიმატეი. აი თითქმის ერთი წელიწადია, რაც ეს საქართველოში მოვიდა პეტერბურლიდამ იმ განზრახვით, რომ რაც აქ ძველი ეკკლესიები და მონასტრებია, გადაიღოს ანუ დახატოს, აგრეთვე დახატოს სურათები საქართველოს ზოგიერთი მცხოვრებლების ეტნოგრაფიულის მხრით.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ უფ. პრიმატეის მუშაობას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის. შესაძლებელია და ადვილი წარმოსადგენიც არის, რომ ის ძველი შენობები დროთა ვითარებამ სრულებით ისე შესცვალოს მომავალში, რომ მათი ნაფეხურებიც კი არსად იყვეს; აგრეთვე ჩვენი საქართველოს ტან-საცმელმა და გარეგანი წამოსადეგობამ მიიღოს მომავალში, ევროპიული განათლების გავრცელების განვლენით, სულ სხვა ხასიათი და აი მაშინ ჩვენ შთამომავლობას მოსაგონებლად და თავიანთ წინა-პართა ცხოვრების წარმოსადგენათ, სხვათა შორის, ექნება უ. პრიმატეის ხელ-მოქმედება ან მხატრობა.

უ. პრიმატეის ეს კარგათ ესმის, ესმის, თუ რა საქმეს შესდგომია და ამისათვის აღტაცებით მიზდეეს თავის საქმეს, თავის აზრის აღსრულებას. ამის უკან არ აწევინებს არა გვარი დაბრკოლება; ეს მზათ არის ყოველ დროს და ყოველ ადგილას წავიდეს, ოღონდ კი გახდეს რასმე ანუ გააკეთოს რამე თავის სურვილის განხორციელებისათვის.

აი ამით აიხსნება ის, რომ უფ. პრიმატეი, ეს იტალიელი კაცი, წავიდა ბორჯომიდამ უდაბურ ტყეში, მივარდნილ მონასტერში საშინელი წვიმების დროს და დარჩა იქ იქამომდე, მინამ კარგათ არ დახატა ქალალდზე წყლიანი კრასკით (საღებავით) ეს მონასტერი, ერთი სიტყვით დარჩა იქ ოთხი დღე.

ამ ჟამათ უ. პრიმატეი არის ახალციხის მაზრაში და იქ მგზავრობს თავის აზრის შესასრულებლად. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალ-

ციხიდამ რომელიმე კორრესპონდენტი შეგვატყობინებს, თუ რა ძველი შენობები და მონასტრები დაიარა და გადახატა უ. პრიმატციმ.

ნ. თაგვეთელი

ახალქალაქი (ზორის), 17 აგვისტოს. ეხლანდელ დროში ყოველ ადგილას სცდილობენ, რომ შესწირონ რაოდენიმე მსხვერპლი რომელიმე გარემოებისგამო დაჩაგრულს ხალხს. ყოველი გაზეთი სავსეა ამბებით, რომლებიდანაც სჩანს, რომელ საზოგადოებას როგორი მსხვერპლი შეუწირავს ცნობილის ხალხისათვის ანუ საგნისათვის.

ეს საზოგადო შემწეობა ამტკიცებს, რამდენათ არის გავრცელებული ხალხში საზოგადო შემწეობის მიცემა. ეს ამტკიცებს, რომ საზოგადოება გულგრილათ არ უყურებს გარემოებისგან დაჩაგრულს ხალხს და სცდილობს თავის ღონის-ძიების დაგვარათ მისცეს მას რაოდენიმე შემწეობა.

მაგრამ ხშირათ მოხდება ხოლმე, რომ-თუ საზოგადოებაში არ ურევია ერთი ანუ რამდენიმე პირნი, რომელთაც შეუძლიანთ ჰზრის მიცემა საზოგადოებისათვის საზოგადო საქმეში, თვით საზოგადოება ყურს არ უგდებს გარემოებისგამო დაჩაგრულს საზოგადოებას ანუ ხალხს. ხშირათ ბევრი საგანი, რომელიც არ მოითხოვს დიდს მსხვერპლს და შრომას საზოგადოებისაგან, რჩება აუსრულებელი საკუთრად იმ მიზეზით, რომ საზოგადოებისათვის საჭირო არის პირი, რომელმაც უნდა დაინახოს როგორის ერით შეიძლება მიაღებინოს საზოგადოებას მონაწილეობა.

მე ვამბობ ჩვენის სოფლის საზოგადოებაზე, რომელმაც დაგვიმტკიცა ჩვენი აზრი. ჩვენს სოფელში არის დიდი საზოგადოება. ჩვენს სოფელს მიუმატეთ შვიდი თუ რვა სოფლის საზოგადოებაც, რომელნიც ჩვენს სოფელზე არიან დაშორებულნი არა უმეტეს ექვსი ვერსისა, სადაც სცხოვრებენ ბევრნი თავად აზნაურნი.

ამ სოფლების სიახლოვე, ერთის შეხედვით, უნდა გვიადვილებდეს ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას, ერთობას, მაგრამ ჩვენ ერთმანეთში არა გვაქვს არასაითმე ერთობა. მჴვი არ არის, რომ ამ ერთმანეთის დაშორებას არ უნდა ჰქონდეს კარგი გავლენა ჩვენს ცხოვრებაზედ მით უმეტეს, რომ ყოველი ჩვენგანის ცხოვრების ინტერესი არის ერთი. ყოველი ჩვენგანი ცალ-ცალკე მიზდევს იმ ცხოვრების საგანს, რომელსაც უნდა მივზდევდეთ ჩვენ ყველანი ერთათ, საზოგადოთ. რაც სოფელს ახალქალაქს გარს სოფლები არტყია, ყველანი არიან მოსამზღვრენი ერთმანეთისა მამულით. მაშასადამე, მამულის ინტერესის გამო მაინც უნდა ჰქონდეთ ერთმანეთთან მისვლა-მოსვლა, ცნობა და დაახლოვება. მაგრამ თუ თვითოეულათ, ცალ-ცალკე, მივზდევთ იმ ცხოვრების განზრახვას, რასაც საერთოთ უნდა მივზდევდეთ, სჩანს რომ ჩვენში არ იპოვება იმისთანა საშუალება, რომელსაც შეეძლოს შეერთება ინტერესებისა.

რასაკვირველია, რომ ჯერ იქმნება ჩვენ ვერ შევადგინოთ ერთობა იმ ღონის-ძიებით და საშუალებით, რომელნიც მოითხოვენ ჩვენგან დიდს ცოდნას და ღვაწლს; მაგრამ იპოვებიან იმისთანა საშუალებანიც, რომელნიც შეჰფერიან ჩვენს გარემოებასაც.

მე მოგახსენეთ, რომ ხანდისხან საჭირო პირი, რომელმაც უნდა მისცეს კეთილი ჰაზრი საზოგადოებას, რომ ეს საზოგადოება თან მიჰყვეს მას. ეს პირი ჩვენს საზოგადოევაში არის ეხლა ე. გ. რომელის ინიციატივით წერმოსდგა ჩვენს სოფელში კომედია „ძუნწი“ ზაქათალის გადამწვარ საზოგადოების სასარგებლოთ და „ძუნწის“ შემდგომ წარმოადგინეს პატარა ვოდევილი, შეთხზული თვით ე. გ—გან *).

ჩვენმა საზოგადოებამ მიიღო ეს აზრი დიდის სიამოვნებით და მაყურებლად მოვიდნენ გარეშე სოფლებიდანაც.—უნდა მოგახსენო, რომ ამ კომედიის წარმოდგენაში მიიღეს მონაწილეობა ზოგიერთ იმისთანა პირებმა, რომელთაც არაოდეს წარმოდგენა და სცენა თვალით არ უნახავთ, მაშასადამე იმედიც არ უნდა გვქონოდა, რომ თავთავის როლი კარგათ აღესრულებინათ; მაგრამ ჩვენს გასაოცებლათ ისე კარგათ აღასრულეს თავისი როლები, რომ დიდ სცენაზედაც სასიამოვნო იქმნება ამ მოქმედი პირების ნახვა.—ვოდევილის წვლილიად გარჩევაში არ შევალ ეხლა, რადგანაც კორესპონდენცია მაშინ გარდიქცეოდა კრიტიკულ სტატიათ და სრულიად შეიცვლებოდა მისი მიმართულება, მხოლოდ ვიტყვი, რომ ვოდევილში სწორეთ და ძალიან ცოცხლად არის გამოხატული ცხოვრება ჩვენის გასათხოვარის ქალებისა, რომელნიც იმყოფებიან ძველი დროის დედაკაცების ხელში. ამ წარმოდგენით მოგროვებული ფული თავის დროზედ იყო გამოცხადებულ „თფილისის მოამბეში“ და ვისაც სურს შეიტყოს რამდენი მოგროვდა, შეუძლიან იქ წაიკითხოს.

შემდეგ ამ წარმოდგენისა, 12-ს აგვისტოს წარმოადგინეს იგივე კომედია „ძუნწი“ და „ჩინ-მაჩინის ქუდი“. ეს მეორე წარმოდგენა იყო იმ სლავიანების სასარგებლოთ, რომელნიც ეხლა ოსმალებისაგან თავის განთავისუფლებისათვის თავის ცოლს, შვილს და უკანასკნელ საზრდოსაც არა ზოგავენ. იქმნება ზოგიერთმა სთქვას, რომ რა შემწეობას მისცემს სლავიანელებს ეს სოფელში მოგროვებული ფული, მაგრამ ამის პასუხათ მოგახსენებთ, რომ საქმე მდგომარეობს იმაში, რომ ყოველმა კაცმა თავის შეძლების დაგვარათ უნდა მისცეს სხვას შემწეობაც.—ამ მეორეთ წარმოდგენის სანახავათ მოგროვდა უმეტესი საზოგადოება, ვიდრე პირველისათვის. ეს მომატებული ხალხის მოგროვება გვიმტკიცებს, რომ ჩვენმა საზოგადოებამ სიამოვნებით მიიღო ამ გვარის ჰზრით მიცემული წარმოდგენა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ყოველ საქმეში ჩვენი საზოგადოება, სადაც უნდა იყვეს, ყოველთვის მიიღებს მხურვალე მონაწილეობას, თუ კი რომ საზოგადოება დარწმუნებული იქმნება, რომ ყოველს მის საქმეს ექნება კეთილი და საფუძვლიანი დანიშნულება. აი, ამისთვის ვამბობ, რომ საზოგადოებისათვის საჭირო არის მხოლოდ კაცი, რომ ყოველი კეთილი ჰაზრი აღსრულებაში მოიყვანოს. ამ უკანასკნელის წარმოდგენით მოგროვებული ფული გამოცხადებული იქმნება „თფილისის მოამბეში“. ფასი ბილეთებისა არ იყო ძვირი: პირველი ადგილების ფასი იყო თითო მანათი, შემდეგი—ათ-ათი შაური და ორ-ორი შაური. იაფი ფასი ბილეთებისა დაზდეს იმ ჰაზრით, რომ მიიზიდონ მდაბალი ხალხიც, რომელთანაც ჩვენი თავად-აზნაურობა დღევანდლამდისინ დაშორებულნი არის და რომელთანაც არაფერი ერთობა არა აქვს, მაშინ როდესაც უერთიერთმანეთოთ ჩვენ ცხოვრება არ შეგვიძლიან და ყოვლად საჭიროა მოისპოს ამ გვარი მათი შესახვედრობა.

დასასრულს უძღვნით მადლობას, როგორც ამ საქმის ინიციატორს, ისრე იმ პირთა, რომელთაც მიიღეს რომელიმე მონაწილეობა ამ კომედიების წარმოდგენაში ამ გვარის კეთილის განზრახვით; ვისურვებთ, რომ შრომა, მიღებული ამ საქმეში მომქმედი პირებისაგან, არ იყოს უკანასკნელი და ყოველთვის იქმნებიან ისინი ერთგულნი და თავი-დადებულნი არა თუ მარტო ამ გვარ საქმეში, არამედ ყოველ საქმეში, რომელიც კი შეეხება საზოგადოებას, და ამითი არ დაასრულებენ თავის მეცადინეობას.

*) ამ ვოდევილში არ ვიცი, ვისი ცხოვრება არის გამოხატული; მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ერთი მომქმედი პირი, როგორც ეტყობა, ძალიან დაჩაგრული უნდა ყოფილიყო თავის ცხოვრების გამო.

უცხო ქვეყნები

ომის ამბავი. ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ხშირად გვესმოდა ხოლმე, რომ ჩვენეთიდამ ბევრნი აპირებენ სერბიაში წასვლასაო, რომ იქაურ არმიაში თავისუფალ მეომრათ შესულიყვნენ და ეომრათ სარწმუნოებით მოძმე ხალხში მხარ-და-მხარ ერთად—ოსმალოებთან. სხვათა შორის დავარდნილ ხმას, რომ ვითომც თავ. ალ. ტ. ძე მიქელაძეც აპირებდა წასვლას სერბიაში, ამ ქამათ ისეც დაუმატეს, რომ ვითომც თ. ალ. მიქელაძეს უნდოდა თავის მოგვარე კაცებიდამ—მიქელაძეებიდამ, ქულაშში, შეედგინა ერთი პატარა რაზმი და ვოლონტერებათ წასულიყვნენ სერბიის არმიაში შესასვლელათაო.

ეს ხმა განსაკუთრებით მაშინ უფრო გავრცელდა, როდესაც ჩვენში გაეგოთ, რომ რუსეთის მმართებლობა—არამც თუ არ არის წინააღმდეგი ამ გვარი თავის მოძმე ხალხის დახმარებისა, არამედ ხელსაც უწყობსო:..

ყველა ეს ხმები ჩვენ ძნელათ გვჯეროდა, მაგრამ როდესაც დღეს ერთ რუსულ გაზეთში ბელგრადიდამ კორრესპონდენცია წავიკითხეთ, ცოტა არ იყოს ეჭვში შევვიყვანა.—ჩვენ ვსთქვით: განა ცოტანი არიან ზოგადოთ ჩვენ შიიმისთანები, რომელთაც ამ გვარ საქმეში, გარდა ერთ-სარწმუნოების მღვიარებელი მოძმე ხალხის დაცვისა, სხვაფრივათ თავის გამოჩენაც უნდა ჰქონდესთ სახეში-თქო... მაგ. იმისთანების რომელთაც სარწმუნოების მხრით ნათესავს ხალხს ოსმალების კლანჭებისაგან განთავისუფლებაში უნდოდათ დახმარებოდნენ?...

აი, ბელგრადიდამ, იმ რუსული გაზეთის კორრესპონდენტი, სხვათა შორის, რას იწერება:

„ბარდა რუსებისა სერბიის არმიაში ბევრნი ბოლგარელებიც არიან, თუმც ესენი ვერ ომობენ ისე გაბედულათ და მამაცურათ. ესევე არ შეიძლება კაცმა სთქვას რუმინიელების აფიცრებზე და სალდათებზე, რომელნიც თავიანთი სურვილით გადმოსულან რუმინიიდამ სერბიიში. ბერძნები და ალბანიელები ძრიელ ცოტა არიან სერბიის არმიაში, მაგრამ მაგიერათ, რომ იცოდეთ, ვინ არიან კიდევ?—იმერლები, ქართლელები ოსები, მეგრელები და ამათ შორის ქრისტეს სარწმუნოების მაღვიარებელნი აბხაზებიცა.

ერთს რუსის აფიცერს უკითხავს ჩვენებურისათვის:—რამ აიძულა ის, რომ მოსულა? ჩვენებურს მიუგია:

— მინდა ვიომო ჩემი მოძმეების სარწმუნოებისა და თავისუფლებისათვის.

სანამდისინ ბელგრადში მოვიდოდნენ სერბიელებმა არ იცოდნენ, რომ ქვეყანაზე ქართლელები, იმერლები და სხვა ხალხებიც არიან კავკაზიაში იმისთანები, რომელნიც ქრისტეს სარწმუნოებას აღიარებენ. ბევრს ისინი ჩერქეზები ეგონათ, ბევრს ყაზახი-რუსები, მაგრამ, როდესაც შეიტყვეს, რომ ქრისტიანები არიან, დაუწყეს გამოკითხვა: საიდამ არიან, რა ქვეყნიდამ, სად არის საქართველო, ვინ ჰყავთ მეფე და სხვ.

ფრანცუზულის ერთი გაზეთის კორრესპონდენტს თარჯიმანის შემწეობით ერთის იმათგანისათვის, რომელიც ძრიელ მამაცს და ვაჟკაცს ჰგავდა, თურმე 60 წლის კი უნდა ყოფილიყო და წმ. გიორგის ორი ჯვარიც ეკიდაო, უკითხავს.—რამ აიძულა ის, რომ ამ სიშორეს მოსულა?

— „ჩვენ თათრებთან საომრათ მოვედითო“, მიუგია მას.

— რუსეთში თქვენ სამსახურში იყავით!

— არა, სამსახურსა ოცი წელიწადი იქნება, რაც თავი დავანებე.

— რამ მოგიყვანათ ამ სიშორეს?

— როგორ თუ რამ! რა გული მოითმენდა, ამდენს თავის მოძმეს წვალებას....“

ნეტავი, ვინ არიან ეს ჩვენებურები? ჩვენი ქვეყნის რომელი კუნჭულიდამ არიან, რომ ამისთანა ვაჟკაცობას და საგულისხმო პასუხებს იძლევიან სხვა და სხვა გამოკითხვებზე?

გაგვეგონებათ, რომ გარიბალდის თავისუფალი მეომარი რაზმი (ვოლონტერები) ყოველგან და ყოველთვის იმით იყო განთქმული, რომ ისინი სხვა ხალხის თავისუფლებისათვის ისე მამაცურათ და მონდომილი ომობდნენ, როგორც თავის ქვეყნისა და ხალხისათვის......

ნარევი

აბა ამოდენა სახელი თუ სადმე გაგიგონიათ, ან წაგიკითხავთ: დონ-პედრო II დ' ალკანტარა-ხუან-კარლო-ლეოპოლდო-სალვადორ-ბიბიანო-ფრანჩესკო-ქსავიერ-და-პოულა-ლეოკადიო-მიკაელო-გაბრიელო-რაფაელო გონზაგო! ეს სახელი ჰქვია ბრაზილიის ეხლანდელ იმპერატორს, რომელიც ამჟამად პეტერბურღში იმყოფება.

* * *

8 აგვისტოს ლონდონში ლორდ როსსელის მე-85 წლის იუბილეის დღესასწაულობდნენ. ეს სახელგანთქმული ლორდი დაბადებულა 18 აგვისტოს 1792 წელს და 1813 წლიდამ, ვიდრე 1861 წლამდე პარლამენტის წევრი ყოფილა, რომლის შემდეგაც იმისთვის პერის წოდება მიუციათ. ამ დროს, თითქმის 50 წლის განმავალობაში, პარლამენტში როსელი, როდესაც კი-რომელიმე კითხვის შესახებ მოლაპარაკების დროს, დაატყობდა თურმე, რამ გამარჯობა ვიგების პარტიას უნდა დარჩენოდა, ის ყოველთვის მართებლობის მომხრე იყო და ამ უკანასკნელის მომხრეებს მიეკედლებოდაო.

* * *

ერთ ურიის ბანკის კანტორაში მისულა ამას წინეთ საიდუმლოდ ერთი ახალ-გაზდა ურიის ქალი, რომელსაც თან ბრილიანტის საყურეები და ბროშკა მიუტანია დასაგირავებლად.—ნივთები სულ 8,000 მანეთად ღირებულა.

— მთხოვთ გირაოში ათასი მანეთი მომცეთ და თუ დროზე სარგებელი ვერ შემოვიტანო, მაშინ თქვენ შეგიძლიათ ამ ნივთებიდამ ბრილიანტები ამოიღოთ და მის მაგიერ რამე სხვა ურალო ქვები ჩასვათ. ჩემი ქმარი იმდენათ სულელია, რომ ვერაფერს შეატყობს.

ურიამ ახედ-დახედა ნივთებს და ბოლოს ღიმილით უთხრა ქალს:

— უკაცრავათ, ქალბატონო! თქვენს ქმარს მოუსწრია თქვენთვის: იმან დიდი ხანია რაც ამ ნივთებიდამ ბრილიანტები მე მომყიდა 8,000 მანეთად. თქვენ ეხლა-იმ ბრილიანტების მაგიერ, ჩემგან ჩასმული უბრალო ქვები გიჭირავსთ.

ქალბატონს უკან აღარ მოუხედნია... ურია კი-დაცინვით, უკან მიხძახოდა:—აი, შე კუდიანო, შე კუდიანო!..

* * *

ამ ერთი წლის წინეთ დოქტორ რიჩარდსონმა დაბეჭდა ინგლისურს გაზ. „ტაიმსში“ (დროებაში) და კიდევ სხვა ბევრს საექიმო გაზეთებში თავის წერილები, რომლებშიაც მას იმისანა ქალაქის გასაშენებელი პლანი გაჰყავდა, სადაც ადვილათ შესაძლებელი იქნებოდა იმ ქალაქის მცხოვრებლებისათვის თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში უვნებელათ ცხოვრება. იმას სხვა თა შორისთავის წერილებში მოჰყავს იმისანა დარიგებები, რომელნიც საჭირონი არიან მაგ. რომ იმ პლანის ქალაქის წყალი და ჰაერი მუდამ წმინდათ ინახებოდნენ, რომ იქ მავნებელი ქარი არ ქროდეს, იყოს საკმაო სითბო ზამთრით და აგრეთვე საკმაო სიგრილე ზაფხულში, რომ ქალაქი აშორებული იყოს ერთობ ხმაურობას და ურიგო გასართობ ადგილებს, რომ ქუჩის მესაკრავები და მათხოვრების ხსენება, არამც თუთავათ ქალაქში, მის ახლო მახლოც არ ყოფილიყო, და სხვ. ამ გვარმა დიდი ხნის სიცოცხლის მომცემმა ტეორიამ ჩააფიქრა ბევრი მდიდრები.—ამათ, ქალ. სუსსეკსის სიახლოვეს, იყიდეს ერთი დიდი ადგილი, და შეუდგნენ კიდეც ქალაქის გაშენებას, რომელსაცს ხალი-რიჩარდსონის ტეორიის ძალით, „ჯანმრთელობის ქალაქი“ უნდა ერქვას.

განცხადებანი

ბრძანებისამებრ სინოდისა წმინდისა ეჩმიაწინისა, დანიშნულ არს საქართველოს და იმერეთის სომეხთ კონსისტორიის პრისუტსტვიაშია ტორგი ამავე წლის სექტემბრის პირველსა და პერეტორჟკა იმავე თვისა სამსა დღესა იჯარით მისაცემლად მამულებისა, კუთვნილების წმ. ეჩმიაწინის მონასტრისა, რომელნიც იპოვებიან თფილისის ქალაქსა შინა.

მსურველთა შეუძლიანთ განიხილონ კანდიცია კონსისტორიის კანცელარიაში ყოველს პრისუტ'ტვის დღეებში, ორს საათამდე შუა დღის უკანა.

კონსისტორიის წევრი დეკანოზი
გ. ტერტერიანცი
სეკრეტარი **ბეკმანოვი**

პროგიმნაზიის **მასწავლებელი სტაროდუბცევი** რეალური სასწავლებლისა და პროგიმზაზიის პირველი სამი კლასის შაგირდებისათვის ხსნის შ ა გ ი რ დ ე ბ ი ს **ბინას**, თვეში ორ თუმნად. საჭმელ-სასმელსა და საზოგადოთ შენახვას გარდა შაგირდებს თვითონ მასწავლებელი და კლასიკურის გიმნაზიის და რეალური სასწავლებლის უფროსი კლასის შაგირდები, ამათი მთავრობის ამორჩევით, ასწავლიან მიბარებულ ყმაწვილებსა და კლასში მიბარებულ გაკვეთილებს გაამეორებინებენ.

უფრო დაწვრილებითი პირობების შეტყობა შეიძლება პროგიმნაზიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, ალელოვის სახლებში. (1—1)

საუკეთესო საშუალება

თაგვების, ვირ-თაგვებისა და ბუზანკალის გასაწყვეტად
რ ი ს ბ უ ტ მ ა ნ ი, ქ ი მ ი კ ო ს ი პ ე შ ტ ი ტ ა მ,

იმპერატორის სასახლის მეიჯარადრე

რომელსაც პრივილეგია აქვს უცხო ქვეყნების სასახლეებისაგან.

პატივი მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და მთელს ევროპაში ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.

1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი

ვერცხლის მედალი მივიღე და აგრეთვე ვენის გამოფენაზე 1873 წელსა.

ბ ა მ ო მ გ ო ნ ი პ ა ს უ ხ ს ა გ ე ბ ს.

ვინც ნარდათ იყიდის, უფრო ნაკლებ ფასად დაუთმობენ.

პრეის-კურანტი:

წამალი თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის—1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. კედლის-ტილის წამალი—1 მან.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. დაბებრებული ხორცის (მაზოლის) წამალი, ერთი ბანკა—60 კაპ.

უმთავრესი დეპოარის თ ფ ი ლ ი ს შ ი, დვორცოვის ქუჩაზე, არწრუნის ქარვასლაში, ლანკოს მუზიკის მაღაზიაში; ვ ლ ა დ ი კ ა ვ კ ა ზ შ ი, სეგალთან, ალექსანდროვსკის პროსპექტზე, ლებედევის სახლში; ს ტ ა ვ რ ო პ ო ლ შ ი—კურილჩენკოსთან.

ამ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. **აქვე ისყიდება თმის სალებავი.** 54—29

ბიბლიური საზოგადოების აგენტის წიგნის მაღაზიაში ამ ოთხს კვირაზედ მიიღებენ გასასყიდლად უფ. სტ. მელიქიშვილისაგან ქართულს ენაზედ დაბეჭდილს **სახარებას**, რომელიც გაკეთებული იქნება კარგის ვარაყის კ ა ზ მ ი თ.

ფასი თითო კაზმიანი წიგნისა—ხუთი შაური

მინუში მსურველს შეუძლიან ყოველ დღე ნ. ხოს ხსენებულს მაღაზიაში: პუკიის ხიდთან, მირზოევის სახლებში. (3—2)

იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა
ქართული პროპისი
(წერის სასწავლებელი რვეული)
შ ე დ გ ე ნ ი ლ ი ვ. ბ ა ბ ი ჩ ე ვ ა ძ ი ს ა გ ა ნ
გაისყიდება: თ ფ ი ლ ი ს შ ი—უფ. არს. კალანდაძის წიგნის მაღაზაში და ქ უ თ ა ი ს შ ი—უფ. სვ. ჩომახიძის სტამბაში.

რვეულის ფასი ამ მოკლე ხანში იქნება გამოცხადებული. (3—3)

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
გორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბექათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბექათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
გორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:
ოდესისკენ—შაბათს დილის 8 საათ.
სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:
ფოთისკენ—ორშაბ. ნასად. 3 საათ.
სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ქერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესსამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
გორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ:
სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. კახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქ უ თ ა ი ს ი დ ა მ:
თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) გ ო რ ი დ ა მ.
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფ ო თ ი დ ა მ:
ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა	მან.	კაპ
პეტერბურგი, 20 აგვის.		
ერთი მანეთი ღირს:		
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში $331^1/_2$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	6	—
ბანკის ბილეთი 5%	99	25
მოგებიანი (პირველისესხი)	198	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	196	50
გირაოს ფურცლები:		
თფილ. სააზნ. ბანკისა.	—	—
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	88	—
მოსკოვის (5%). . . .	91	25
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	158	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	139	50
შავიზღვის ცეცხ. გემების	530	—
კავკაზის და მერკურის. .	205	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	724	—
პეტერბ. საზღვევ. საზ.	263	—
მოსკოვის საზღვევ. საზ.	260	—

მაზანდა	მან	კაპ
თფილისი, 26 აგვის.		
პური შორაგალის ფთ.	—	80
ქერი ფუთი. . . .	—	60
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	50
—ამერიკისა, ფუთი. .	6	30
გაპენტილი ბამბა ფთ.	8	—
მატყლი თუშური ფთ .	7	50
—თარაქამისა ფთ. .	7	50
აბრეშუმი ნუხური გრ.	2	60
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	60
სტეარინის სანთელი, ფ.	10	30
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	45
—ცხვრისა, ლიტრა. .	—	54
სპირტი, ვედრო. . .	6	60
შაქარი, ბროც. ფუთი .	6	90
—ფხვნილი ფუთი . .	5	80
ყავა გრგვალი ფუთი .	19	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	50
ოქრო 1/2 იმპერიალი. .	6	27

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27 Августа 1876 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.